# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№664 2016 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სარგებლობაში არსებული ქონების შპს „ცოდნისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისს“ (ს/კ: 209467646), საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2016 წლის 15 აპრილიდან 2016 წლის პირველ აგვისტომდე, იჯარის უფლებით გადასცეს შპს „ცოდნას“ (ს/კ: 209467673) ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის გამზირ №108-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.11.04.023.037) არსებული 1561 კვ.მ ფართი, კერძოდ, №1 შენობის II სართული - 674,15 კვ.მ, №3 შენობის I სართული - 349,54 კვ.მ, №3 შენობის II სართული - 337,51 კვ.მ, №8 შენობის I სართული - 22,15 კვ.მ და №9 შენობის I სართული - 177,65 კვ.მ ყოველთვიური საიჯარო ქირით - 1 600 (ათას ექვსასი) ლარად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი